ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7549740

ნომერი: AR11098286

თარიღი : 01.07.2025

გაცემის თარიღი : 10.07.2025

გაცნობის თარიღი : 10.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჭელიძე პ/ნ 01009001743
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 64 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 1 ივლისს №AR11098286 განცხადებით ვახტანგ ჭელიძე და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის

№6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებით, N01.13.01.004.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 დეკემბრიდან 2026 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2025 წლის 27 ივნისის №7533553 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში და „ა“ და „ბ“ ბლოკებისთვის განკუთვნილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები დაფიქსირდა დამოუკიდებლად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ბრძანებაში, „ა“ ბლოკში დამხმარე ფართობად 176.6 კვ.მ-ის ნაცვლად 516.4 კვ.მ-ის, კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 1315.7 კვ.მ-ის, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 3673.0 კვ.მ-ის დაფიქსირება. ასევე, „ბ“ ბლოკში საერთო ფართობად 3920.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4056.8 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 2475.2 კვ.მ-ის 1834.2 კვ.მ-ის, კომერციული ფართობად 1220.0 კვ.მ-ის ნაცვლად 927.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 239.2 კვ.მ-ის ნაცვლად 238.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 175.0 კვ.მ-ის ნაცვლად 906.6 კვ.მ-ის, კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 1633.4 კვ.მ-ის, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 4558.1 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შესაძლებელია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დაზუსტება. ამასთან, აღნიშნული არ გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთის დაყოფის შესაძლებლობას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში და
1.1. „ა“ ბლოკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 516.4 კვ.მ., ამასთან, „ბ“ ბლოკში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 4056.8 კვ.მ., საოფისე ფართობად - 1834.2 კვ.მ., კომერციული ფართობად - 927.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 238.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 906.6 კვ.მ.
1.2. ჩანაწერი კ1 განაშენიანებისა და კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების საანგარიშო ფართობების თაობაზე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): „ა“ ბლოკი - 1315.7; „ბ“ ბლოკი - 1633.4, საერთო - 2949.1/9044.0 = 0.3

- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): „ა“ ბლოკი - 3673.0; „ბ“ ბლოკი - 4558.1, საერთო - 8231.1/9044.0 = 0.9

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 და 2025 წლის 27 ივნისის №7533553 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.